საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-14

06/01/2021

ქ. თბილისი

ქ. რუსთავში შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიას“ ცემენტის წარმოებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ქ. რუსთავში შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიას“ ცემენტის წარმოებაზე სკოპინგის დასკვნა N100 (22.12.2020წ.);
2. შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიამ“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N100 (22.12.2020წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი